

გ. ხმალაძე, გ. ფირცხალავა

# დაპროექტების ფუნქციური საფუძვლები

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

გ. ხმალაძე, პ. ფირცხალავა

დაპროექტების ფუნქციური  
საფუძვლები



რეკომენდებულია სტუ-ის

სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს

მიერ. 03.04.2013, ოქმი №2

მოცემულია ხალხის ნაკადის მოძრაობა და შენობა-ნაგებობებიდან მათ ევაკუაციასთან დაკავშირებული საკითხების მეთოდიკა. თეორიულ საკითხებზე ერთად მოცემულია პრაქტიკული სამუშაოს შესრულების მაგალითები. დართული აქვს საილუსტრაციო მასალა, გრაფიკები, დამატებები დანართების სახით.

განკუთვნილია არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები: სრული პროფესორი ლ. ბერიძე,  
ასოცირებული პროფესორი თ. ჭანტურია

რედაქტორი მ. ბაზაძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013

ISBN 978-9941-20-300-8

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არც ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.



Verba volant,  
scripta manent

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

შპს „ნეკერი“, თბილისი, ქუჩიშვილის ქ. №1

გადაეცა წარმოებას 31.05.2013. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.06.2013.

ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 2. ტირაჟი 100 ეგზ.

შენობა-ნაგებობების დაპროექტებისას სხვა სპეციალურ მოთხოვნებთან ერთად მნიშვნელოვანია ხალხის ნაკადისა და ევაკუაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რაზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ფუნქციურად გამართული შენობის დაპროექტება.

ამ საკითხის დამუშავებისას საჭიროა განისაზღვროს მთავარი და დამხმარე ფუნქციები. ეს ძირითადად ეხება მრავალფუნქციურ შენობა-ნაგებობებს. მთავარი და დამხმარე ფუნქციური პროცესების მიხედვით, შეგვიძლია განვსაზღვროთ სათავსების ზომები, მათი მდებარეობა და ურთიერთგანლაგება.

შენობაში მთავარი და დამხმარე ფუნქციის მქონე სათავსები ქმნიან სისტემას, სადაც ურთიერთკავშირი მყარდება საკომუნიკაციო გასასვლელების მეშვეობით, რომლის ერთ-ერთი, ძირითადი, ფუნქციური დანიშნულებაა ხალხის ნაკადის დაუბრკოლებელი გადაადგილება და მისი დროული ჩვეულებრივი ან იძულებითი ევაკუაცია. შენობის სათავსების განლაგებისა და პარამეტრების განსაზღვრის დროს ფუნქციური ფაქტორების გათვალისწინების შემთხვევაში, ზემოაღნიშნულის გარდა, მიიღწევა მინიმალურად დასაშვები პარამეტრები, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

შენობა-ნაგებობათა მრავალგვარობიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მათი სისტემატიზაცია ფუნქციური ნიშან-თვის სებების მიხედვით. საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობები (სადაც ხალხის დიდი ნაკადია) შეგვიძლია დაყვით 2 პირობით ჯგუფად:

1. შენობა-ნაგებობები, სადაც ძირითადი ფუნქციური პროცესი<sup>1</sup> არის დროული ევაკუაცია ნორმალურ და ექსტრემალურ პირობებში. ასეთ ობიექტებს მიეკუთვნება სამაყურებლო დარბაზები, სასპორტო ნაგებობები, კინოთეატრები და სხვა შენობა-ნაგებობები, სადაც სეანსის, მატჩის ან სხვა ღონისძიების დასრულების შემდეგ ხდება მათი ერთდროული განტვირთვა ნორმით დადგენილ დროში (ჟღ - ზღვრული დრო), ხოლო ავარიული ევაკუაციის დრო იანგარიშება შენობის დანიშნულების, სიდიდისა და ხანძარმედეგობის მიხედვით ანუ ევაკუაციის t დრო არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ჟღ ზღვრულ დროს. ხალხის მოძრაობის გზების ასეთ მდგომარეობას ეწოდება პირველი ზღვრული მდგომარეობა, რომელიც გამოისახება პირობით:

$$t \leq t_{\partial M}$$

2. შენობა-ნაგებობანი, სადაც ძირითადი ფუნქციური პროცესი არის ხალხის ნაკადის უწყვეტი გადაადგილება (სადგური, სავაჭრო ცენტრი, საგამოფენო დარბაზი და სხვა). ამ შემთხვევაში შენობა უნდა აქმაყოფილებდეს ხალხის მოძრაობისათვის აუცილებელ ნორმალურ პირობებს ანუ ნაკადის D სიმჭიდროვე არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ D<sub>ზღ</sub> ზღვრულ სიმჭიდროვეს მოცემული ობიექტისათვის. ასეთ მდგომარეობას ეწოდება მეორე ზღვრული მდგომარეობა, რომელიც გამოისახება პირობით:

$$D \leq D_{\text{cm}}$$

ე.ი. ყოველი სახის შენობა-ნაგებობისათვის საჭიროა განისაზღვროს საანგარიშო პირობები. მაგალითად, თეატრისა და მსგავსი ტიპის შენობებში ძირითადი მოთხოვნა არის ევაკუაცია როგორც ნორმალურ, ისე ექსტრემალურ პირობებში. ნორმალურ შემთხვევაში ანგარიში ხორციელდება მხოლოდ პირველი ზღვრული მდგომარეობით ( $t \leq t_{\text{ზ}}$ ), ხოლო მეორე შემთხვევაში – როგორც პირველი, ისე მეორე ზღვრული მდგომარეობით.

1 ამ შემთხვევაში იგულისხმება ხალხის ნაკადის მოძრაობა.

# 1. სალეის ნაკადის გადაადგილების სახეობი და გზები



საკომუნიკაციო გზებისა და მთლიანი შენობა-ნაგებობების დაპროექტებისას ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ხალხის ნაკადი და მისი პარამეტრები, რაც, პირველ რიგში, დამოკიდებულია ადამიანის გაბარიტებზე, ხალხის რაოდენობაზე გზის მოცემულ მონაკვეთზე, ამ მონაკვეთის კონფიგურაციასა და ფართობზე.

როგორც შესავალში ითქვა, მოძრაობა შეიძლება იყოს ხანმოკლე ანუ როდესაც შენობა-ნაგებობების დაპროექტებისას ძირითადი მოთხოვნა არის ხალხის უპრობლემო ევაკუაცია:

1. ნორმალური ევაკუაცია – როდესაც იგი შეესაბამება შენობა-ნაგებობაში მიმდინარე ყოველდღიურ ფუნქციურ პროცესს.
2. ინტენსიური (იძულებითი) – მიმდინარეობს ავარიულ სიტუაციაში.

მოძრაობა შეიძლება იყოს ხანგრძლივი, როდესაც ხალხი გადაადგილდება შენობაში მისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე.

დაპროექტებისას გასათვალისწინებელია მასობრივი, ნაკადური, შეუთანხმებელი ხანმოკლე მოძრაობა, მიმდინარე ნორმალურ და ექსტრემალურ პირობებში და მასობრივი, ნაკადური, შეუთანხმებელი ხანგრძლივი მოძრაობა, მხოლოდ მიმდინარე ნორმალურ პირობებში.

შენობა-ნაგებობებში ხალხის ნაკადის გადაადგილების გზა ან ჰორიზონტალურია (გასასვლელი, დერეფანი და სხვა ჰორიზონტალური კომუნიკაციური სათავსები), ან დახრილი (კიბე და პანდუსი).

დახრილი გზის L სიგრძე გამოითვლება მისი აბსოლუტური ზომიდან და არა L' ჰორიზონტალური პროექციიდან ანუ

$$L = L'/\cos\alpha; \text{ სადაც } \alpha \text{ ჰორიზონტან დახრის კუთხეა.}$$

კიბის დახრილობა შეიძლება იყოს  $\alpha=30 - 32^\circ$ . კიბის ბაქანი, მცირე ზომის გამო, განიხილება როგორც გზის დახრილი მონაკვეთი. აქედან კიბის საშუალო სიგრძე იქნება:

ორმარშიანი კიბის შემთხვევაში

$$L = 2L'/\cos\alpha + 4b$$

სამმარშიანი კიბის შემთხვევაში

$$L = L'(3/\cos\alpha + 1) + 4b; \text{ სადაც } b \text{ ბაქნის სიგრძეა.}$$

პანდუსად ჩაითვლება გზის მონაკვეთი თუ მისი დახრილობა მეტია 1:8, წინააღმდეგ შემნთხვევაში იგი მიეკუთვნება ჰორიზონტალურ გზას.

ანგარიშის გასამარტივებლად ორმარშიანი კიბის სიგრძე შეიძლება მივიღოთ  $L = 3H$  ( $H$  სართულის სიმაღლეა).

მოძრაობის გზა შეიძლება იყოს მრავალნაირი კონფიგურაციის. ხდება მისი შევიწროება, გაფართოება, შეიძლება ჰორიზონტალური გზა ესაზღვრებოდეს დახრილს ან იკვეთებოდეს ღიობით. გზის მომიჯნავე მონაკვეთების ურთიერთკავშირის ვარიანტები ნაჩვენებია მე-2 სურათზე.

## 2. ხალხის ნაკადის პარამეტრები

### 2.1. ხალხის ნაკადის სიმჭიდროვე

საკომუნიკაციო გზების და მთლიანად შენობის დაპროექტებისას ერთ-ერთ სპეციალურ და განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება ადამიანის გადაადგილების თავისუფლება, რომელიც პირველ რიგში დამოკიდებულია ხალხის რაოდენობაზე, მათ გაბარიტებზე, ნაკადის მოძრაობის გზის კონფიგურაციასა და მის ფართობზე.

ადამიანის გაბარიტებში იგულისხმება მისი ჰორიზონტალური პროექციის ფართობი (სურ. 1). ეს სიდიდე დამოკიდებულია ასაკზე, ტანსაცმელზე, ხელბარგის სახეობასა და სხვა. ადამიანის ჰორიზონტალურ პროექციად მიღებულია ელიფსი, რომლის დიდი დიამეტრის ზომა შეესაბამება ადამიანის მხრების სიგანეს, ხოლო მცირე დიამეტრი სისქეს (სურ. 1). ცხრილში მოცემულია ელიფსის  $f$  ფართობი სხვადასხვა პირობების დროს.

ადამიანის ტანსაცმელი და ხელბარგი	ჰორიზონტალური პროექციის ფართობი $f \vartheta^2$
საზაფხულო	0,1
საზამთრო	0,125
ზამთრის ტანსაცმელი ხელბარგით	0,15

ადამიანის გადაადგილების თავისუფლების კრიტიკულმად გვევლინება ნაკადის სათავსის ფართობზე განლაგების D სიმჭიდროვე, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$D = N/F,$$

სადაც  $N$  ხალხის რაოდენობაა,  $F$  – ხალხის ნაკადის ფართობი.

სიმჭიდროვის ზუსტად განსაზღვრისათვის გამოვიყენებთ ადამიანების ჰორიზონტალური პროექციების ჯამს  $\Sigma f \vartheta^2$ . მაშინ სიმჭიდროვის განმსაზღვრელი ფორმულა მიიღებს სახეს:

$$D = Nf/F,$$

შემდგომ ხალხის  $N$  რაოდენობაში ვიგულისხმებთ ნაკადში  $\vartheta^2$ -ებით გამოსახულ ჰორიზონტალური პროექციების ჯამს:

$$N = \Sigma f \vartheta^2$$

საბოლოოდ ხალხის ნაკადის სიმჭიდროვე გამოისახება ფორმულით:

$$D = N/\ell\delta \vartheta^2/\vartheta^2$$

სადაც  $N$  არის ხალხის რაოდენობა  $\vartheta^2$ -ებით

$\ell$  – ხალხის ნაკადის სიგრძე,

$\delta$  – ხალხის ნაკადის სიგანე.<sup>2</sup>

ნაკადის სიმჭიდროვე შეიძლება გამოისახოს ერთ კაცზე მოსული იატაკის ფართობით:

$$D = \ell\delta/N \vartheta^2/კაც.$$

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ნორმალურ პირობებში სიმჭიდროვის მაქსიმალური მნიშვნელობა შეადგენს  $D_{max}=0,92$ . იძულებითი ევაკუაციის შემთხვევაში შესაძლოა სიმჭიდროვე გაიზარდოს, რაც უპედური შემთხვევების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა.

<sup>2</sup> ხალხის ნაკადის სიგანე  $\delta$  შეესაბამება გზის მონაკვეთის სიგანეს.

## 2.2. ხალხის ნაკადის სიჩქარე და დრო

ხალხის ნაკადის  $v$  სიჩქარე  $D$  სიმჭიდროვის და გზის სახეობის ფუნქციაა. დადგენილია, რომ  $v$  სიჩქარის მნიშვნელობა  $D$  სიმჭიდროვის უკუპროპორციულია. ამავე დროს ერთი და იმავე  $D$ -ს შემთხვევაში სიჩქარე დამოკიდებულია გზის სახეობაზე (ჰორიზონტალური, დახრილი და ლიობი). ნორმალურ პირობებში სიმჭიდროვის, სიჩქარის და გზის სახეობის ურთიერთდამოკიდებულება ნაჩვენებია გრაფიკზე (სურ. 4, а), ხოლო დეტალურად არის მოცემული პირველ დანართში, სადაც ჩანს ურთიერთკავშირი ნაკადის სინჭიდროვესა და სიჩქარეს შორის ავარიული, ნორმალური და კომფორტული მოძრაობების<sup>3</sup> პირობებში.

ხალხის ნაკადი შეიძლება გადაადგილდებოდეს ექსტრემალურ (ავარიულ) პირობებში, მაგალითად, ხანძრის დროს. ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ფაქტორიდან გამომდინარე, მოძრაობის სიჩქარე იზრდება (ნაკადის იმავე სიმჭიდროვისას). აქედან გამომდინარე, ავარიული ევაკუაციის შემთხვევაში  $t_{\text{ავარ}} < t_{\text{წორ}}$ .

ავარიულ და კომფორტულ პირობებში ხალხის მოძრაობის სიჩქარის შეფარდებას სიჩქარეს-თან ნორმალურ პირობებში მოძრაობის პირობების  $\mu$  კოეფიციენტი ეწოდება (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

მოძრაობის პირობები	მოძრაობის პირობების $\mu$ კოეფიციენტი		
	ავარიული $\mu_1$	ნორმალური $\mu_6$	კომფორტული $\mu_3$
	1,49 – 0,36	1	0,63+0,25D
ჰიბრიდური ლიობები	1,21	1	0,76
კიბე (ჩასვლა)	1,26	1	0,82

უფრო ზუსტი მონაცემები მოცემულია პირველ დანართში.

ევაკუაციის დრო დარბაზის ტიპის I და II ხარისხის ხანძარმედეგობის შენობებისათვის მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

სათავსის დასახელება	ევაკუაციის დრო წუთობით სათავსის მოცულობა ათას მ³-მდე				
	5	10	20	40	60
სამაყურებლო დარბაზი (თეატრი, კლუბი)	1,5	2,0	2,5	2,5	–
საკონცერტო საგამოფენო დარბაზი, დახურული სპორტული ნაგებობები	2,0	3,0	3,5	4,0	4,5
სავაჭრო ცენტრი, სუპერმარკეტები	1,5	2,0	2,5	2,5	3,0

ევაკუაციის ზღვრული დრო განისაზღვრება როგორც ხანძარსაწინააღმდეგო, ისე ტექნიკოლოგიური და საექსპლუატაციო პირობებით. ზღვრული მდგომარეობის დადგენა საშუალებას იძლევა განისაზღვროს საკომუნიკაციო სათავსების პარამეტრები. გზის ფალკულ

<sup>3</sup> კომფორტული მოძრაობა წარმოადგენს ნორმალურ პირობებში მოძრაობის ნაირსახეობას, როცა ხალხის მასა მოძრაობს დაუბრკოლებლად საზეიმო განწყობით. ამ შემთხვევაში სიჩქარეები ნაკლებია, ვიდრე ნორმალური პირობების დროს.

მონაკვეთებზე უმარტივეს შემთხვევაში, როდესაც ცნობილია ხალხის გადაადგილებისათვის დადგენილი ზღვრული დრო  $t_{\text{დ}}$  და ამ გზაზე ნაკადის  $v$  სიჩქარე, შეგვიძლია განვითაროს ლვროთ გზის მონაკვეთის მაქსიმალური  $L_{\text{დ}}$  სიგრძე, აქედან  $L_{\text{დ}} = vt$ . როდესაც ცნობილია  $L_{\text{დ}}$ ,  $D$  და გზის მონაკვეთზე ხალხის რაოდებონობა  $N(\theta)$ , შეგვიძლია ვიანგარიშოთ მისი საჭირო ბ სიგანე:

$$\delta = N / L_{\text{დ}} \cdot D$$

სათავსიდან უახლოესი საევაკუაციო გასასვლელის მაქსიმალური დაშორება მეტრობით მოცემულია მე-4 ცხრილში.

#### ცხრილი 4

ხანდ. მედ. ხარ.	მანძილი ხალხის ნაკადის სიმჭიდროვის ( $D$ ) მიხედვით				
	0,3-მდე	0,3-0,4	0,4-0,5	0,5-0,6	0,6 ზემოთ
კიბის უჯრედს ან გარე გასასვლელს შორის მდებარე სათავსიდან					
I-III	60	50	40	35	20
IV	40	35	30	25	15
V	30	25	20	15	10
სათავსიდან, რომელიც გადის ჩიხურ დერეფანსა ან ჰოლში					
I-III	30	25	20	15	10
IV	20	15	15	10	7
V	15	10	10	5	5

### 2.3. გზის გამტარუნარიანობა და ხალხის ნაკადის ინტენსიურობა

გზის გამტარუნარიანობა ( $Q$ ) არის ხალხის რაოდენობა, რომელიც გაივლის ბ სიგანის გზის განივევეთში დროის ერთეულში:

$$Q=Dv\delta;$$

ვინაიდან ნაკადის სიმჭიდროვე და სიჩქარე ცვალებადია, ხოლო გზის სიგანე კონკრეტულ შემთხვევაში არის უცვლელი, გამტარუნარიანობას აქვს თავისი ზღვრული მნიშვნელობა, რომლის შემდეგ მას არ გააჩნია უნარი მთლიანად გაატაროს ხალხის მასა, რის შედეგად გზის მონაკვეთის საზღვარზე წარმოიქმნება ხალხის შეჯგუფება. მოძრაობის ნორმალურ პირობებში შეჯგუფების ადგილებში შემჭიდროების მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს  $D_{\text{max}}=0,92$ . აქედან გამომდინარე, ნაკადის დაუბრკოლებელი გადაადგილებისათვის მთელ მარშრუტზე გზის წინა მ მომიჯნავე მონაკვეთის გამტარუნარიანობა არ უნდა აღემატებოდეს გზის შემდეგი ( $n+1$ ) მონაკვეთის მაქსიმალურ გამტარუნარიანობას:

$$Q_n \leq Q_{(n+1)\text{max}}$$

გზის გამტარუნარიანობასთან ერთად აუცილებელია განისაზღვროს ე.ნ. კ მოძრაობის ინტენსიურობა, რომელიც ისევე, როგორც ნაკადის სიჩქარე სიმჭიდროვის ფუნქციაა. ამავე დროს იგი არ არის დამოკიდებული გზის სიგანეზე ანუ ასახავს ნაკადის მოძრაობის კინეტიკას. გზის მონაკვეთზე განსაზღვრული (არამაქსიმალური) სიმჭიდროვის შემთხვევის გზის გამტარუნარიანობა და მონაკვეთის გამტარუნარიანობა ურთისას გადაადგილების განვითარების მიზანით გვიანდება.

ვევაში მოძრაობის ინტენსიურობა აღწევს მაქსიმუმს ( $q_{max}$ ), ხოლო შემდეგ ისევ მცირდება. როგორც გრაფიკიდან (სურ. 4, ბ) და პირველი დანართიდან ჩანს,  $q_{max}$ -ის მნიშვნელობა მოძრაობის სხვადასხვა პირობისათვის განსხვავებულია. მაგალითად, პორიზონტალური გზისთვის (ნორმალურ პირობებში) დადგენილია  $q_{max} = 10,13$ , ღიობებში  $q_{max} = 10,59$ , კიბეზე ქვევით  $q_{max} = 7,48$ , კიბეზე ზევით  $q_{max} = 7,29$ . აქედან გამომდინარე განსაზღვრული სიგანის გზის მაქსიმალური გამტარუნარიანობა  $Q_{max}$  დამოკიდებულია მასზე ნაკადის მაქსიმალურ ინტენსიურობაზე  $q_{max}$ :

$$Q_{max} = q_{max} \cdot \delta$$

### 3.1. ხალხის ნაკადის პარამეტრების ცვლილებები გზის მომიჯნავე მონაკვეთების საზღვრებთან

გზის მომიჯნავე მონაკვეთების საზღვარი ეწოდება ადგილს, სადაც იცვლება გზის სახე-ეობა ან მისი სიგანე. მაგ., ჰორიზონტალური და დახრილი გზები, ღიობები და სხვა. მე-2 სურათზე ნაჩვენებია გზის მომიჯნავე მონაკვეთების შეთავსების შესაძლო ვარიანტები.

დადგენილია, რომ ხალხის ნაკადის მომიჯნავე მონაკვეთების საზღვარზე დაუბრკოლებლად გადასასვლელად საჭიროა ამ მონაკვეთების გამტარუნარიანობა ( $Q$ ) იყოს ერთნაირი. განვიხილოთ ხალხის მოძრაობა ორ სხვადასხვა სიგანის მომიჯნავე ჰორიზონტალური მონაკვეთის საზღვარზე (სურ. 2,1). ნაკადი ხალხის  $N$  რაოდენობით  $n$  მონაკვეთზე  $Q_n$  გამტარუნარიანობით მოძრაობს მომიჯნავე  $n+1$  მონაკვეთის საზღვრის გასწვრივ და განაგრძოს გზას  $n+1$  მონაკვეთზე  $Q_{n+1}$  გამტარუნარიანობით. დაუბრკოლებელი მოძრაობის შემთხვევაში  $n$  მონაკვეთიდან  $n+1$  მონაკვეთზე  $t$  დროში გაივლის ხალხის იგივე რაოდენობა ანუ  $N_n = N_{n+1}$ , რაც შეგვიძლია ასე გამოვსახოთ:

$$Q_n t = Q_{n+1} t \text{ ანუ } Q_n = Q_{n+1};$$

სხვანაირად

$$q_n \delta_n = q_{n+1} \delta_{n+1};$$

ინტენსიურობა გზის მონაკვეთზე ასე გამოისახება:

$$q_{n+1} = q_n \cdot \delta_n / \delta_{n+1}$$

ამ ფორმულიდან გამომდინარე, მოძრაობის ინტენსიურობა გზის მომიჯნავე მონაკვეთზე ამ მონაკვეთების სიგანეთა უკუპროპორციულია.

გზის მონაკვეთებზე ხალხის ნაკადის დროს პარამეტრების ცვლილებები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს გრაფიკული სახით (სურ. 3), სადაც ჩანს ნაკადის მოძრაობის პროცესი სხვადასხვა სიგანის  $n$  და  $n+1$  გზის მონაკვეთებზე.

ხალხის მასის მოძრაობის გრაფიკი აიგება კოორდინატებით: სადაც „ა“ გზის გეგმაა, „ბ“ – გზის სქემა, „გ“ კი საანგარიშო გრაფიკი,  $t=0$  – ნაკადის სათავე ნაწილის შემოსვლის მომენტი გზის  $n$  მონაკვეთზე,  $t_1$  – ნაკადის ჩამკეტი ნაწილის შემოსვლის დრო გზის იმავე მონაკვეთზე,  $t_2$  და  $t_3$  – ნაკადის შესაბამისად სათავე და ჩამკეტი ნაწილების  $n+1$  მონაკვეთზე გასვლის დრო, დასასრულ  $t_4$  და  $t_5$  – შესაბამისად ნაკადის სათავე და ჩამკეტი ნაწილების მოძრაობის დასრულების დრო.

იმ შემთხვევაში, თუ გზის  $n+1$  მონაკვეთის გამტარუნარიანობა  $Q_n$  ნაკლებია  $Q_{n+1}$ -ზე, მაშინ საზღვართან წარმოიქმნება ხალხის შეჯგუფება, რადგან  $n+1$  მონაკვეთს არ შეუძლია  $t$  დროში გაატაროს ხალხის მთლიანი რაოდენობა ანუ  $Q_n > Q_{n+1}$ . ამ შემთხვევაში მოძრაობის ინტენსიურობა გზის  $n+1$  მონაკვეთზე აღემატება მაქსიმუმს (გზის კონკრეტული სახეობისათვის) და

$$q_{n+1} = q \cdot \delta_n / \delta_{n+1} > q_{\max}$$

ეს გამოსახულება გვიჩვენებს, რომ გზის  $n+1$  მონაკვეთის პარამეტრები შეესაბამება მეტ სიმჭიდროვეს, ვიდრე დასაშვებია  $q_{\max}$ -ის დროს. ამ შემთხვევაში  $n+1$  მონაკვეთის წინ

ვინაიდან ხალხის მასის მოძრაობის დრო  $t=N / Q$ , ხალხის შეჯგუფების შედეგად მოძრაობის შეფერხების დრო  $\tau$  იქნება:

$$\tau = N/Q_{n+1} - N/Q_n = N(1/Q_{n+1} - 1/Q_n)$$

გასათვალისწინებელია, რომ  $q_{n+1}$ -ის ერთსა და იმავე მნიშვნელობას შეესაბამება  $D_{n+1}$ -ის ორი მნიშვნელობა (იხ. სურათი 4, ბ). მაგალითად, ჰორიზონტალურ გზაზე მოძრაობის ნორმალური პირობების შემთხვევაში  $q_{n+1}=8,55$ -ს შეესაბამება  $D_{n+1}=0,51$  და  $D_{n+1}=0,92$ . ეს გამოწვეულია იმით, რომ გზის მომიჯნავე მონაკვეთზე მოძრაობის დროს ხალხის თავმოყრის შემთხვევაში ( $n+1 > q_{max}$ ) ხდება ნაკადის შემდგომი განმჭიდროება ანუ საზღვრიდან გზის გაგრძელების შემდეგ სიმჭიდროვე მცირდება  $D_{max}$ -თან შედარებით და უტოლდება მის მეორე მნიშვნელობას. ნაკადის განმჭიდროება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ  $n+1$  მონაკვეთს აქვს გარკვეული სიგრძე ( $>0,7$  მ). ლიობში, სადაც გზის სიგრძე პრაქტიკულად 0-ის ტოლია, ნაკადის განმჭიდროება არ შეიმჩნევა (იხ. მაგ. 1 და მაგ. 2).

### 3.2. ხალხის ნაკადების შეერთება (შერწყმა) და დანაწევრება

რამდენიმე ნაკადის შეერთება და ნაკადის დანაწევრება, როგორც წესი, ხდება სხვადასხვა სახის და სიგანის გზების გადაკვეთის შემთხვევაში (კიბის უჯრედებთან, ვესტიულებთან, სხვადასხვა სიგანის დერეფნებთან და ა.შ.). ნაკადების შეერთების შემთხვევაში ძალაშია იგივე კანონები, რომლებიც მოცემულია 3.1 ქვეთავში.

დავუშვათ, რომ  $n_1, n_2$  და  $n_3$  მონაკვეთებზე მოძრაობს სამი ნაკადი. ხალხის რაოდენობა შესაბამისად არის  $N_{n1}, N_{n2}$  და  $N_{n3}$ , გზების გამტარუნარიანობა კი –  $Q_{n1}, Q_{n2}$  და  $Q_{n3}$ . სამივე ნაკადი ერთდროულად მიდის  $n+1$  მონაკვეთის საზღვართან, რის შემდეგ შეერთდებიან და განაგრძობენ გზას  $n+1$  მონაკვეთზე (სურ. 5,ა). ვიცით, რომ ნაკადის მიერ მონაკვეთების საზღვრის დაუბრკოლებლად გადაკვეთისათვის ყველგან მათი გამტარუნარიანობა ერთნაირი უნდა იყოს ანუ  $Q_n = Q_{n+1} \theta^2/6\pi$ , მაშასადამე:

$$Q_{n1} + Q_{n2} + Q_{n3} = Q_{n+1} \theta^2/6\pi \text{ ანუ}$$

$$\Sigma Q_n = q_{n+1} \delta_{n+1} \text{ საიდანაც}$$

$$q_{n+1} = \Sigma Q_n / \delta_{n+1} \theta^2/6\pi.$$

ე.ი. თავშეყრისკენ მიმავალი ნაკადების პარამეტრებით, შეგვიძლია დავადგინოთ გაერთიანებული ნაკადის პარამეტრები, რისთვისაც საჭიროა განისაზღვროს მოძრაობის  $q_{n+1}$  ინტენსიურობა ( $q_{n+1} = q_n \cdot \delta_n / \delta_{n+1}$ ). ხოლო სიმჭიდროვე და მოძრაობის სიჩქარე პირველი დანართიდან (იხ. მაგალითი 5).

გამტარუნარიანობების უტოლობის შემთხვევაში ( $\sum_1^n Q_n > Q_{n+1}$ ) მოძრაობის ინტენსიურობა იქნება მაქსიმალურზე მეტი:

$$q_{n+1} = \sum_1^n Q_n / \delta_{n+1} > q_{max}$$

ამის შედეგად  $n+1$  მონაკვეთის საზღვარზე წარმოიქმნება მაქსიმალური სიმჭიდროვე და ხალხის შეჯგუფება იწყებს გავრცელებას ყველა მომიჯნავე მონაკვეთზე ( $n_1, n_2, \dots$ ).

n+1 მონაკვეთზე ნაკადის მოძრაობა ხდება  $q_{\max}$ -ის შესაბამისად. როგორც 3.1. ქვეთავეში იყო აღნიშნული, თუ n+1 მონაკვეთს აქვს შესაბამისი სიგრძე ( $>0,7$  მ) ნაკადის სიმჭიდრობის განმჭიდროების შედეგად დებულობს მეორე (ნაკლებ) მნიშვნელობას, რომელიც პასუხობს მოძრაობის იმავე ინტენსიურობას (იხ. მაგალითი 5).

ერთი ნაკადის რამდენიმე ნაკადად განშტოება არის შეერთების საწინააღმდეგო პროცესი. განვიხილოთ ხალხის ნაკადის განაწილების რამდენიმე შემთხვევა გზის განშტოების შემთხვევაში.

1. ყველაზე მარტივი შემთხვევა, როცა განშტოების შემდეგ მოძრაობის გზების სიგრძე, სიგანე და მოძრაობის პირობები ერთნარია. ამიტომ, როდესაც  $Q_{n-1} = Q_{n1} + Q_{n2} + \dots + Q_{nn}$ , გზებზე, სადაც განაგრძობს მოძრაობას განშტოებული ნაკადი იქნება ერთნაირი სიმჭიდროვე და ერთნაირი გამტარუნარიანობა. ამიტომ შეგვიძლია ადვილად განვსაზღვროთ მოძრაობის პარამეტრები მოძრაობის ინტენსიურობის მნიშვნელობიდან:

$$q_n = Q_{n-1} / \sum \delta_n;$$

2. მოძრაობის გზები განსხვავებულია სიგანით ( $\delta$ ), მაგრამ იდენტურია სხვა პარამეტრებით. ამ შემთხვევაში ერთნაირი იქნება ნაკადის განშტოების მოძრაობის ინტენსიურობა და სიმჭიდროვე. განსხვავებული იქნება მხოლოდ განშტოების გზების გამტარუნარიანობა.

3. ხდება ხალხის ნაკადის განშტოება წინასწარ დადგენილი შეფარდებით (ხალხის სხვადასხვა რაოდენობით და გზების სხვადასხვა სიგანით).  $N_{n1}, N_{n2}, \dots, N_{nn}$  და  $\delta_{n1}, \delta_{n2}, \dots, \delta_{nn}$  მოცემული სიდიდეებიდან ვპოულობთ ნაკადის განშტოების გამტარუნარიანობებს  $Q_{n1}, Q_{n2}, \dots, Q_{nn}$ :

$$Q_{n1} = Q_{n-1} \cdot N_{n1} / \sum N_n;$$

$$Q_{n2} = Q_{n-1} \cdot N_{n2} / \sum N_n;$$

$$Q_{nn} = Q_{n-1} \cdot N_{nn} / \sum N_n;$$

აქედან მოძრაობის ინტენსიურობა:

$$q_{n1} = Q_{n1} / \delta_{n1};$$

$$q_{n2} = Q_{n2} / \delta_{n2};$$

$$q_{nn} = Q_{nn} / \delta_{nn};$$

D და v განისაზღვრება მე-4, ა სურათით და | დანართიდან.

4. პრაეტიცული სამუშაოს გენერალური მაგალითები

მაგალითი 1

განისაზღვროს მოძრაობის პარამეტრები ღიობში (მონაკვეთი  $n+1$ , სურ. 2, 3). ღიობის სიგანე  $\delta_{n+1} = 1,5$  მ, ხალხის ნაკადის სიმჭიდროვე  $n$  მონაკვეთზე  $D_n = 0,63$ . მოძრაობის ინტენსიურობა  $n$  მონაკვეთზე  $q_n = 9,55$  მ/წმ,  $n$  მონაკვეთზე გამტარუნარიანობა  $Q_n = 28,65$  მ<sup>2</sup>/წთ. ღიობში მოძრაობის ინტენსიურობა იქნება:

$$q_{n+1} = q_n \cdot \delta_n / \delta_{n+1} = Q_n / \delta_{n+1} = 28,65 / 1,5 = 19,1 \text{ dB} > q_{\max} = 10,59 \text{ dB}$$

(нб. პირველი დანართი საიდანაც დადგენილია  $q_{\max}$ , რომელიც შესაბამება მოცემულ სიმჭიდროვეს  $D_n=0,63$ ). აქედან გამომდინარე, ვინაიდან  $q_{n+1} > q_{\max}$ , ღიობთა მაქსიმუმამდე იზრდება სიმჭიდროვე და მოძრაობის პარამეტრები იქნება:  $D_{n+1}=0,92$ , პირველი დანართი-დან  $v_{n+1}=9,85 \text{ მ/წთ}$ ,  $q_{n+1}=9,06 < q_{\max}=10,59 \text{ მ/წთ}$ .

$$Q_{n+1} = q_{n+1} \cdot \delta_{n+1} = 9,06 \cdot 1,5 = 13,53 < Q_n = 28,65 \text{ d}^2/\text{m}.$$

ମାଗାଲୀତି 2

განისაზღვროს ხალხის ნაკადის პარამეტრები  $\delta_{n+1} = 1,5$  მ სიგანის დერეფანში (სურ. 2.2), თუ  $D_n = 0,63$ ,  $q_n = 9,55 \text{ მ/წთ}$ ,  $Q_n = 28,65 \text{ მ}^2/\text{წთ}$ .

განვსაზღვროთ დერეფანში მოძრაობის ინტენსიურობა:

$$q_{n+1} = q_n \cdot \delta_p / \delta_{n+1} = 28,65 / 1,5 = 19,1 \text{ dB/}\Omega > q_{\max} = 10,13 \text{ dB/}\Omega.$$

პირველი დანართიდან  $q_{\max}$ -ს ჰორიზონტალურ გზებზე შეესაბამება  $D=0,75$ . ამ შემთხვევაში  $n+1$  დერეფინის ნინ მოხდება ხალხის თავშეყრა და მოძრაობა შეფერხდება. პირველი დანართიდან გამომდინარე, მოძრაობის პარამეტრები იქნება:

$$D_{n+1} = D_{\max} = 0,92, \quad v_{n+1} = 9,08 \text{ } \partial/\text{G}\sigma, \quad q_{n+1} = 8,35 \text{ } \partial/\text{G}\sigma, \quad Q_{n+1} = q_{n+1} \cdot \delta_{n+1} = 8,35 \cdot 1,5 = 12,52 \text{ } \partial^2/\text{G}\sigma < Q_n = 28,65 \text{ } \partial^2/\text{G}\sigma.$$

ვინაიდან სინჭიდროვე  $D_{n+1} = D_{\max} = 0,92$  იქნება მხოლოდ  $n+1$  მონაკვეთის (დერეფნის) და-საწყისში, განმჭიდროების ხარჯზე (მოძრაობის იმავე ინტენსიურობის  $q_{n+1} = 8,36 \text{ მ/წთ}$  შემ-თხვევაში) სიმჭიდროვის მეორე მნიშვნელობა იქნება  $D_{n+1} = 0,51$  და  $n+1$  მონაკვეთის პარამე-ტრები განისაზღვრება  $D_{n+1} = 0,51$  სიმჭიდროვიდან გამომდინარე.

მაგალითი 3

განისაზღვროს ხალხის ნაკადის პარამეტრები და მოძრაობის დამთავრების დრო გზა-ზე, რომელიც შედგება ორი სხვადასხვა სიგანის და სახის მონაკვეთისაგან – ი ჰორიზონ-ტალური მონაკვეთი და კიბე ზევით  $n+1$  (სურ. 2,4).

მოცემულია  $L_p = 20$  გ,  $\delta_n = 3$  გ,  $N = 30$  გ<sup>2</sup>,  $D_n = 0,7$ ,  $L_{n+1} = 15$  გ,  $\delta_{n+1} = 1,5$  გ.

დანართიდან განვსაზღვროთ  $q_n = 10,02 \text{ მ/წთ}$ ,  $v_n = 14,3 \text{ მ/წთ}$ , აქედან  $Q_n = q_n \cdot \delta_n = 10,02 \cdot 3 = 30,06 \text{ მ}^2/\text{წთ}$ .

განვსაზღვროთ მოძრაობის დრო გზის პირველ (პორიზონტალურ) მონაკვეთზე. გზის პირველი ნაწილის საზღვრამდე ნაკადის ჩამკეტი ნაწილის მოძრაობის დრო  $t_n' = L_n/v_n = 20/14,3 = 1,39 \text{ წთ}$ . შევამოწმოთ გზის მეორე მონაკვეთის სიგანის გამტარუნარიანობა, გაივლის თუ არა  $t_n'$  დროში ხალხის N რაოდენობა.

$$N_{\text{საანგ.}} = q_{\max} \cdot \delta_{n+1} \cdot t_n' = 7,29 \cdot 1,5 \cdot 1,39 = 15,2 < N = 30 \text{ მ}^2 (\text{q}_{\max} - \text{დანართიდან კიბე ზევით}).$$

ვინაიდან  $\delta_{n+1}$  ვერ ატარებს ნაკადს  $t_n = 1,39 \text{ წთ-ში}$ , საზღვარზე წარმოიქმნება მაქსიმალური სიმჭიდროვე  $D_{\max} = 0,92$  შესაბამისი მოძრაობის ინტენსიურობით  $q_{n+1} = 6,06$  (იხ. დანართი). აქედან

$$t_n = N/Q_{n+1} = N/q_{n+1} \cdot \delta_{n+1} = 30/6,06 \cdot 1,5 = 3,3 \text{ წთ} (\text{ნაცვლად } 1,39 \text{ წთ}).$$

განვსაზღვროთ გზის მეორე მონაკვეთის ( $n+1$ ) პარამეტრები:

$q_{n+1} = Q_n/\delta_{n+1} = 30/1,5 = 20,0 \text{ მ/წთ} > q_{\max(n+1)} = 7,29 \text{ მ/წთ}$ , რაც მეტია კიბეზე ზევით მოძრაობისათვის ნორმალურ პირობებში, ე.ი. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოძრაობა შეფერხდება ( $\tau = t_n - t_n' = 3,3 - 1,39 = 1,91 \text{ წთ}$ ). საზღვარზე მოძრაობის პარამეტრები იქნება:  $D_{n+1} = D_{\max} = 0,92$ ; დანართიდან  $v_{n+1} = 6,59 \text{ მ/წთ}$ ,  $q_{n+1} = 6,067 \text{ მ/წთ}$ , აქედან  $Q_{n+1} = 6,06 \cdot 1,5 = 9,05 < Q_n = 30,0 \text{ მ}^2/\text{წთ}$ .  $D_{\max} = 0,92$  სიმჭიდროვე წარმოიქმნება მხოლოდ  $n+1$  მონაკვეთის დასაწყისში, ხოლო შემდეგ განმჭიდროვების ხარჯზე ღებულობს  $D_{n+1} = 0,44$  მნიშვნელობას (დანართი, კიბე ზევით)  $q_{n+1}$ -ის იმავე მნიშვნელობისათვის. აქედან დამატებიდან  $v_{n+1} = 13,83 \text{ მ/წთ}$ .

მეორე მონაკვეთზე ნაკადის ჩამკეტის მოძრაობის დრო იქნება:

$$t_n = L_{n+1}/v_{n+1} = 15/13,83 = 1,08 \text{ წთ}$$

მოძრაობის საერთო დრო იქნება  $\Sigma t = t_n + t_{n+1} = 3,3 + 1,08 = 4,38 \text{ წთ}$ .

## მაგალითი 4

განისაზღვროს ხალხის ნაკადის პარამეტრები და მოძრაობის დამთავრების დრო გზაზე, რომელიც შედგება ერთნაირი n სიგანის და  $n+2$  პორიზონტალური მონაკვეთისაგან და მათ შორის მოთავსებული  $n+1$  ღიობისაგან (სურ. 2, 3, 5).

მოცემულია:  $L_n = 20 \text{ მ}$ ,  $\delta_n = 3 \text{ მ}$ ,  $N = 30 \text{ მ}^2$ ,  $D_n = 0,7 \text{ მ}$ ,  $\delta_{n+1} = 1,5 \text{ მ}$ ,  $L_{n+2} = 15 \text{ მ}$ ,  $\delta_{n+2} = 3 \text{ მ}$ .

I დანართიდან  $q_n = 10,02 \text{ მ/წთ}$ ,  $v_n = 14,3 \text{ მ/წთ}$ , აქედან  $Q_n = q_n \cdot \delta_n = 10,02 \cdot 3 = 30,06 \text{ მ}^2/\text{წთ}$ .

განვსაზღვროთ მოძრაობის დრო გზის პირველ (n) მონაკვეთზე. გზის პირველი მონაკვეთის საზღვრამდე ნაკადის ჩამკეტი ნაწილის მოძრაობის დრო  $t_n = L_n/v_n = 20/14,3 = 1,39 \text{ წთ}$ . წინა ამოცანის ანალოგიურად, შევამოწმოთ ღიობის სიგანის გამტარუნარიანობა ანუ გაივლის თუ არა  $t_n$  დროში ხალხის მოცემული N რაოდენობა.

$$N_{\text{საანგ.}} = q_{\max(n+1)} \cdot \delta_{n+1} \cdot t_n = 10,59 \cdot 1,5 \cdot 1,39 = 22,08 < N = 30 \text{ მ}^2$$

( $q_{\max(n+1)}$  – დანართიდან ღიობისათვის).

ვინაიდან  $\delta_{n+1}$  ვერ ატარებს ნაკადს –  $t_n = 1,39 \text{ წთ-ში}$  ხალხის რაოდენობას, საზღვარზე წარმოიქმნება მაქსიმალური სიმჭიდროვე  $D_{\max} = 0,92$  შესაბამისი მოძრაობის ინტენსიურობით  $q_{n+1} = 9,06$  (დამატებიდან ღიობისათვის). აქედან

$$t_n = N/Q_{n+1} = N/q_{n+1} \cdot \delta_{n+1} = 30 / 9,06 \cdot 1,5 = 2,2 \text{ წთ (ნაცვლად } 1,39 \text{ წთ-ისა).}$$

განვსაზღვროთ გზის  $n+2$  მონაკვეთის პარამეტრები:

$$q_{n+2} = q_{n+1} \cdot \delta_{n+1} / \delta_{n+2} = 9,06 \cdot 1,5 / 3 = 4,53 \text{ მ/წთ} < q_{\max n+1} = 10,59 \text{ მ/წთ.}$$

ვინაიდან  $q_{n+2} < q_{\max n+1}$ , ხდება დაუბრკოლებელი მოძრაობა, ე.ი.  $n+2$  მონაკვეთზე მოძრაობა დამოკიდებულია მხოლოდ  $L_{n+2}$ -სა და  $v_{n+2}$ -ზე. დანართიდან  $q_{n+2} = 4,53 \text{ მ/წთ-ს }$  შეესაბამება  $D_{n+2} = 0,09$  და  $v_{n+2} = 49,84 \text{ მ/წთ}$ . აქედან ნაკადის ჩამკეტის მოძრაობის დრო იქნება:

$$t_{n+2} = L_{n+2} / v_{n+2} = 15 / 49,84 = 0,3 \text{ წთ.}$$

ნაკადის მოძრაობის საერთო დრო იქნება:

$$\Sigma t = t_n + t_{n+2} = 2,2 + 0,3 = 2,5 \text{ წთ.}$$

## მაგალითი 5

განისაზღვროს ორი ნაკადისგან შემდგარი გაერთიანებული ნაკადის პარამეტრები (სურ. 5, ბ). გაერთიანებული ნაკადი მოძრაობს ჰორიზონტალურ გზაზე ( $n+1$ ). მოცემულია:  $\delta_{n1} = 2,5 \text{ მ}$ ,  $D_{n1} = 0,5$ ;  $\delta_{n2} = 2 \text{ მ}$ ,  $D_{n2} = 0,44 \text{ მ}$ ;  $\delta_{n+1} = 3 \text{ მ}$ . დანართიდან  $v_{n1} = 16,5 \text{ მ/წთ}$ ,  $q_{n1} = 8,25 \text{ მ/წთ}$ ,  $v_{n2} = 17,37 \text{ მ/წთ}$ ,  $q_{n2} = 7,64 \text{ მ/წთ}$ . ამის შემდეგ ვადგენთ  $n_1$  და  $n_2$  ნაკადების გზის გამტარუნართიანობას:

$$Q_{n1} = q_{n1} \cdot \delta_{n1} = 8,25 \cdot 2,5 = 20,63 \text{ მ/წთ},$$

$$Q_{n2} = q_{n2} \cdot \delta_{n2} = 7,64 \cdot 2 = 15,28 \text{ მ/წთ},$$

$$\Sigma Q_n = Q_{n1} + Q_{n2} = 20,63 + 15,28 = 35,9 \text{ მ/წთ.}$$

ვსაზღვრავთ გაერთიანებული ნაკადის გზის ( $n+1$ ) ინტენსიურობას:

$$q_{n+1} = \Sigma Q_n / \delta_{n+1} = 35,9 / 3 = 11,97 \text{ მ/წთ} > q_{\max} = 10,13 \text{ მ/წთ.}$$

ვინაიდან  $q_{n+1} > q_{\max}$  საზღვარზე წარმოიქმნება მაქსიმალური სიმჭიდროვე  $D_{n+1} = D_{\max} = 0,92$ .

| დანართიდან  $q_{n+1} = 8,35 \text{ მ/წთ}$ . აქედან

$Q_{n+1} = q_{n+1} \cdot \delta_{n+1} = 8,35 \cdot 3 = 25,05 < \Sigma Q = 35,9 \text{ მ}^2/\text{წთ}$ .  $D_{n+1} = D_{\max}$  სიმჭიდროვე იქნება მხოლოდ  $n+1$  მონაკვეთის დასაწყისში, ხოლო შემდგომ განმჭიდროების ხარჯზე სიმჭიდროვე იქნება  $D_{n+1} = 0,51$ ,  $q_{n+1}$  იმავე მნიშვნელობით და დამატებიდან  $v_{n+1} = 16,38 \text{ მ/წთ}$  ( $9,08 \text{ მ/წთ-ის } ნაცვლად$ ).

## მაგალითი 6

აიგოს ხალხის ნაკადის გრაფიკი ჰორიზონტალურ გზაზე, თუ მოცემულია: ხალხის საერთო რაოდენობა ნაკადში (საშინაო ტანსაცმელში  $f=0,1$ )  $N=173$  კაცი ანუ  $17,3 \text{ მ}^2$ , ნაკადის სიგრძე  $\ell=8,33 \text{ მ}$ , გზის მონაკვეთის სიგრძე  $L=12 \text{ მ}$ , სიგანე  $\delta=3 \text{ მ}$ .

განვსაზღვროთ გზის მოცემულ მონაკვეთზე ხალხის ნაკადის სიმჭიდროვე:  $D=N/\ell\delta = 17,3 / 8,33 \cdot 3 = 0,69$ . | დანართიდან ვიგებთ  $D=0,69$ -ის შესაბამის სიჩქარეს  $v_1 = 14,5 \text{ მ/წთ}$ . ვაგებთ გრაფიკს (იხ. სურ. 6).

გრაფიკის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ ხალხის რაოდენობა, რომელიც გაივ-

